მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვებისა და მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურების შეთავაზების წინადადება

(მ ო წ ვ ე ვ ი ს ო ფ ე რ ტ ა)

წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულია შპს «აჭარის ელექტროკავშირის" მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვებისა და მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურების (შემდგომში მომსახურება) შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება ყველა ავტორიზირებულ პირზე და მიღებულია ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულების მიზნით.

შპს «აჭარის ელექტროკავშირის" მომსახურების მიწოდება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1. შპს «აჭარის ელექტროკავშირს" მომსახურების მიწოდების ვალდებულება დაკისრებული აქვს ბაზრის ბაზრებსა და გეოგრაფიულ სეგმენტებში:
   ა) მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვებისა და ადგილობრივი მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურების საბითუმო ბაზარი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა;

2. შპს «აჭარის ელექტროკავშირის" მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალური ელემენტების (მულტიპლექსორების) სრული და დატვირთული სიმძლავრეებია:

   ა) მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვებისა და ადგილობრივი მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურების საბითუმო ბაზარი

   აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

   ადგილობრივ ზონისთივს კომპანიას არ გააჩნია არცერთი მულტიპლექსორი და შესაბამისად არც თავისუფალი 2 მბიტ/წმ-იანი პორტები. სადგურთშორისი შეერთება ხორციელდება ИКМ-30 სისტემებით.

3. შპს «აჭარის ელექტროკავშირის" მომსახურების ტარიფები ჩამოყალიბდება მას შემდეგ რაც კომპანიას ექნება აღნიშნული მომსახურების გაწევის შესაძლებლობა.

4. ანგარიშსწორება:
   4.1. მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება შემოსავლების შესახებ საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე სრული მოცულობით, არაუგვიანეს საანგარიშსწორებო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის, ანგარიშსწორება იწარმოებს შპს «აჭარის ელექტროკავშირის" მიერ მხარისადმი წარდგენილი შემოსავლების შესახებ საოქმო გადაწყვეტილებაში

დაფიქსირებული თანხების ოდენობით, ხოლო სადაო ნაწილზე წარდგენილ იქნება გადაანგარიშების მოთხოვნა სათანადო დასაბუთებითა და შესაბამისი მტკიცებულებით. თუ მხარეები 10 სამუშაო დღის ვადაში ვერ შეთანხმდებიან საპრეტენზიო ნაწილზე, დავა განხილული და გადაწყვეტილი იქნება საქართველოში არსებული მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის მეშვეობით.

4.2. ანგარიშსწორების პირობების დარღვევის შემთხვევაში შპს «აჭარის ელექტროკავშირი" უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მომსახურების მიწოდება;

5. შპს «აჭარის ელექტროკავშირის" <u>მომსახურების</u> ოფერტაზე თანხმობის მიღებისა და ხელშეკრულების გაფორმების პროცედურა:

5.1. განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) წერილობითი განცხადება, სადაც ნათლად იქნება დაფიქსირებული, რომ განმცხადებელს სურს მიიღოს შპს «აჭარის ელექტროკავშირისაგან" <u>მომსახურება</u>;

დ) წერილობით განცხადებაში დაფიქსირებული უნდა იყოს განმცხადებლის დასტური რომ იგი გაცნობილია, ეთანხმება და უპირობოდ შეასრულებს ოფერტაში დაფიქსირებულ ყველა პირობას;

5.2. კონკრეტული წერტილებისა და მიმართულებების მითითება, სადაც განმცხადებელს სურს <u>მომსახურების</u> მიღება, ხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ რაც შპს «აჭარის ელექტროკავშირსა" და განმცხადებელს შორის გაფორმებული იქნება <u>მომსახურების</u> ხელშეკრულება. <u>მომსახურების</u> მიღების კონკრეტული შემთხვევების მიღებისა და განხილვის პროცედურა აღწერილია ცალკე მუხლ 6-ში;

5.3. განმცხადებლის მიმართვიდან 10 სამუშაო დღეში შპს «აჭარის ელექტროკავშირი" შეისწავლის აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 5.1 მუხლში დაფიქსირებულ მოთხოვნებს;

5.4. განმცხადებლის მიმართვიდან 10 სამუშაო დღეში შპს «აჭარის ელექტროკავშირი" წერილობით აცნობებს განმცხადებელს აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 5.1 მუხლში დაფიქსირებულ მოთხოვნებს. დადებითი პასუხის შემთხვევაში აქცეპტი მიღებულად ითვლება წერილობითი პასუხის გაცემის თარიღიდან, ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ჩაითვლება რომ განმცხადებლის მიერ აქცეპტი არ გაკეთებულა;

5.5. 5.4 მუხლის მიხედვით დადებითი პასუხის შემთხვევაში შპს «აჭარის ელექტროკავშირი" ვალდებულია აქცეპტის მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს აქცეპტანტს ხელმოუწერილი <u>მომსახურების</u> ხელშეკრულება.

5.6. აქცეპტანტი ვალდებულია 7 კალენდარული დღის ვადაში მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება უკან დაუბრუნოს შპს „აჭარის ელექტროკავშირს". თუ ამ ვადაში ხელმოწერილი ხელშეკრულება არ იქნება დაბრუნებული, ითვლება რომ აქცეპტანტი უარს აცხადებს ოფერტაზე და შპს „აჭარის ელექტროკავშირი" უფლებას იტოვებს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ოფერტაზე უარის მთქმელ პირთან ფაქტობრივი ურთიერთობები და ჩაითვლება, რომ შპს „აჭარის ელექტროკავშირს" აქცეპტანტთან არანაირი სამართლებლივი ურთიერთობა არ აკავშირებს.

5.7. აქცეპტანტის მიერ 5.6 მუხლის მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში დადებითი პასუხის შემთხვევაში შპს «აჭარის ელექტროკავშირი" ვალდებულია ხელმოწერილი ხელშეკრულების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გაუგზავნოს აქცეპტანტს თავისი მხრიდან ხელმოწერილი <u>მომსახურების</u> ხელშეკრულება.

6. საკომუნიკაციო არხებით სარგებლობის მოთხოვნების მიღება და შემდგომი პროცედურა:

6.1. შპს «აჭარის ელექტროკავშირის" საკომუნიკაციო არხებით სარგებლობის მოთხოვნისას, ავტორიზებული პირი ვალდებულია წერილობით მიმართოს შპს «აჭარის ელექტროკავშირს". მიმართვისას დაცული უნდა იყოს ყველა ქვემოთმითითებული პირობა:

ა) შპს «აჭარის ელექტროკავშირსა" და განმცხადებელს შორის უნდა არსებობდეს მოქმედი ორმხრივად ხელმოწერილი ხელშეკრულება <u>მომსახურების</u> შესახებ;

ბ) ავტორიზებული პირის დავალიანება შპს «აჭარის ელექტროკავშირის" მიმართ მიმართვის მომენტში არ უნდა აღემატებოდეს 1 000 ლარს;

გ) წერილობით მოთხოვნაში ზუსტად უნდა იყოს მოთხოვნილი არხის საწყისი და საბოლოო წერტილები (მულტიპლექსორების მისამართები);

დ) წერილობით მოთხოვნაში ზუსტად უნდა იყოს დაფიქსირებული მოთხოვნილი არხის სიდიდე (2 მბიტ/წმ-ებში);

6.2. ავტორიზებული პირის მიმართვიდან 20 სამუშაო დღეში შპს «აჭარის ელექტროკავშირი" შეისწავლის:

ა) დაცულია თუ არა 6.1 მუხლის მოთხოვნები;

ბ) ა) პუნქტზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, არის თუ არა მოთხოვნილ მიმართულებაზე საკმარისი რაოდენობის თავისუფალი პორტები და ტექნიკური ნორმების დაცვით შესაძლებელია თუ არა ავტორიზებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილება;

გ) აქვს თუ არა ავტორიზებულ პირს მზად ინფრასტრუქტურა მოთხოვნილი არხით სარგებლობისთვის;

6.3. ავტორიზებული პირის მიმართვიდან 20 სამუშაო დღეში შპს «აჭარის ელექტროკავშირი" წერილობით აცნობებს ავტორიზებულ პირს:

ა) დაცულია თუ არა 6.1 მუხლის მოთხოვნები;

ბ) ა) არის თუ არა მოთხოვნილ მიმართულებაზე საკმარისი რაოდენობის თავისუფალი პორტები და ტექნიკური ნორმების დაცვით შესაძლებელია თუ არა ავტორიზებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილება;

გ) აქვს თუ არა ავტორიზებულ პირს მზად ინფრასტრუქტურა მოთხოვნილი არხით სარგებლობისთვის;

6.4. 6.3 პუნქტის მიხედვით დადებითი პასუხის შემთხვევაში შპს «აჭარის ელექტროკავშირი" ვალდებულია პასუხის გაცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გაუგზავნოს ავტორიზებულ პირს მის მიერ ხელმოუწერილი დანართი კომპანიებს შორის არსებულ ხელშეკრულებაზე <u>მომსახურების</u> შესახებ, სადაც დაფიქსირებული იქნება არხის საწყისი და საბოლოო წერტილები (მულტიპლექსორების მისამართები), არხის სიდიდე (2 მბიტ/წმ-ებში), ტარიფი და ყოველთვიურად გადასახდელი თანხა;

6.5. ავტორიზებული პირი ვალდებულია 7 კალენდარული დღის ვადაში მის მიერ ხელმოწერილი დანართი უკან დაუბრუნოს შპს „აჭარის ელექტროკავშირს". თუ ამ ვადაში ხელმოწერილი დანართი არ იქნება დაბრუნებული, ითვლება რომ ავტორიზებული პირი უარს ამბობს კაბელის კანალიზაციაში მოთხოვნილი მიმართულებით განთავსებაზე და ჩაითვლება, რომ შპს „აჭარის ელექტროკავშირს". ავტორიზებულ პირთან არანაირი სამართლებლივი ურთიერთობა არ აკავშირებს ამ დანართის ფარგლებში;

6.6. ავტორიზებული პირის მიერ 7.7 მუხლის მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, შპს «აჭარის ელექტროკავშირი" 7 კალენდარულ დღეში დაუბრუნოს ავტორიზებულ პირს თავისი მხრიდან ხელმოწერილი დანართი;

6.7. ავტორიზებული პირი ვალდებულია შპს «აჭარის ელექტროკავშირისგან" მის მიერ ხელმოწერილი დანართის მიღებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში წარმოუდგინოს შპს «აჭარის ელექტროკავშირის" იმ კონკრეტული პირების სახელები, ვინც უნდა იმონაწილიოს არხის გამოყოფის და ავტორიზებული პირის აპარატურასთან მიერთების პროცესში. შპს «აჭარის ელექტროკავშირი" უფლებამოსილია დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს მითითებულ პირების ვინაობას.

6.8. იმ შემთხვევაში თუ შპს «აჭარის ელექტროკავშირი" ეთანხმება წერილში დაფიქსირებული პირების ვინაობას, შპს «აჭარის ელექტროკავშირი" ვალდებულია 6.7 მუხლში მითითებული წერილის მიღებიდან 20 სამუშაო დღეში განახორციელოს არხის გამოყოფა და ავტორიზებული პირის აპარატურსთან მიერთება ავტორიზებული პირის მიერ გამოყოფილ პირებთან ერთად. ავტორიზებული პირი ვალდებულია დროულად გამოყოს შესაბამისი პირები სამუშაოების განსახორციელებლად;

6.9. სამუშაოების განხორციელების შემდეგ მხარეებს შორის (ავტორიზებული პირის მიერ გამოყოფილი წარმომადგენელი, ხოლო შპს «აჭარის ელექტროკავშირი" შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ გამოყოფილი პირები) ფორმდება პირველადი მიღება ჩაბარების აქტი, სადაც მითითებული უნდა იყოს: არხის გამოყოფის თარიღი, აქტის ხელმომწერი პირების თანამდებობა და ვინაობა, არხის სიდიდე (2 მბიტ/წმ-ებში) და

არხის საწყისი და საბოლოო წერტილები (მულტიპლექსორების მისამართები);

6.10. პირველადი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ზემოთმითითებული პირველადი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უნდა გაფორმდეს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც მითითებული უნდა იყოს იგივე პუნქტები, რაც პირველად მიღება-ჩაბარების აქტში.

7. შპს «აჭარის ელექტროკავშირის" <u>მომსახურების</u> მიწოდების ექსტრაორდინალურ და ფორსმაჟორულ შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები:

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

7.2. „დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება მხარეებს არ შეუძლიათ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.

7.3. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა) აფეთქებები (მათ შორის ტერორისტული თუ დივერსიული აქტები). საომარი მოქმედებები (მათ შორის სამოქალაქო არეულობები და გაფიცვები), ხელისუფლების ისეთი აქტები, რაც არსებითად აფერხებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და სხვა.

7.4. თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შერულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება. მხარემ, რომლისათვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 7 (შვიდი) დღისა ამ გარემოებების დადგომიდან ან დასრულებიდან, შეატყობინოს მეორე მხარეს წერილიბით. შეუტყობინებლობის, ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

8. შპს «აჭარის ელექტროკავშირის" <u>მომსახურების</u> მიწოდების შესაბამისი ხელშეკრულებების შეწყვეტის პირობები:

8.1. შეწყვეტა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საფუძვლებით;

9. შპს «აჭარის ელექტროკავშირის" <u>მომსახურების</u> მიწოდების შესაბამისი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავების განხილვის წესი:

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ქონებრივი დავა განხილული და გადაწყვეტილი იქნება საქართველოში არსებული მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის მიერ. დავას განიხილავს ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟი, რომელსაც დანიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი. დავას განიხილავს და გადაწყვეტს ის არბიტრაჟი, რომელიც კონკრეტულად მითითებული იქნება ხელშეკრულებაში შპს «აჭარის ელექტროკავშირის" მიერ;

10. წინამდებარე ოფერტა მოქმედებს გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადით.

დირექტორი _____ მერაბ სტეფანია